

## რუსეთ-თურქეთის ომის ფონდი

**რუს-001** ძველი ზარბაზნები ვანის ციხეში. (თანამედროვე თურქეთი). ფოტო გადაღებულია I მსოფლიო ომის დროს ვანის ბრძოლის დროს. თარიღი 1915წ. ზომა 6X4,5სმ. 1ფ.

**რუს-002** მოწყალეების დები რაისოვა და კუზნეცოვა. წითელი ჯვრის მესამე ლაზარეთიდან. ფოტო გადაღებულია I მსოფლიო ომის დროს კავკასიის ფრონტზე. თარიღი 1915წ. ზომა 6X4,5. 1ფ.

**რუს-003** სოფელი დელმანი. (თანამედროვე თურქეთი). კაზარმებთან გზა. ფოტო გადაღებულია I მსოფლიო ომის დროს კავკასიის ფრონტზე. თარიღი 1915წ. ზომა 6X4,5. 1ფ.

**რუს-004** ქალაქ ხოშაბის ციხე. (თანამედროვე თურქეთი). თარიღი 1915წ. ზომა 6X9. 1ფ.

**რუს-005** სოფელი არჩაკი და ტბა არჩაკი. (თანამედროვე თურქეთი). ისტორიული სომხური პროვინციის ვასპურაკანის სამეფოს ტერიტორია. 1915 წელს დაიკავა რუსულმა არმიამ. თარიღი 1915წ. ზომა 6X4,5. 1ფ.

**რუს-006** ქალაქ ვანის ციხე. (თანამედროვე თურქეთი). ამჟამად განადგურებულია მეჩეთი და მინარეთის კონუსი. ფოტო, სავარაუდოდ, გადაღებულია ვანის ბრძოლის დროს (აპრილი- ივნისი 1915წ.) თარიღი 1915წ. ზომა 6X4,5. 1ფ

**რუს-007** ქალაქ ვანის ციხე. თარიღი 1915წ. ზომა 6X8,5. 1ფ

**რუს-008** რუსი ოფიცრები და მოწყალეების დები, ქართველ მღვდელთან ერთად. სოფ. ჯულახი. (თანამედროვე თურქეთი). ფოტო გადაღებულია I მსოფლიო ომის დროს, სავარაუდოდ, კავკასიის ფრონტზე. თარიღი 18.11.1916წ. ზომა 10X12. 1ფ.

**რუს-009** რუსული პოზიციები. I მსოფლიო ომი. კავკასიის ფრონტი. თარიღი 1915წ 1916წ. ზომა 9X6 სმ. 1ფ.

**რუს-010** I პოლტავის პოლკის ოფიცრობა. სოფელი მამედ იარდი, (თანამედროვე თურქეთი). ფოტო გადაღებულია 1914-1918 წლების I მსოფლიო ომის დროს კავკასიის ფრონტზე. სავარაუდოდ, ერზერუმის ოპერაციის დროს. (28.12. 1915-12.03.1916). თარიღი 1916. 10.18. ზომა 6X4,5. 1ფ.

**რუს-011** რუსი და ქართველი ოფიცრები სოფელ საფიანში, სპარსეთში. ფოტო გადაღებულია, სავარაუდოდ, კავკასიის ფრონტის სპარსეთის მონაკვეთზე, როდესაც 1915წელს რუსული არმია შეიჭრა სპარსეთის აზერბაიჯანში. თარიღი 1915. I.II. ზომა 10X12 სმ. 1ფ.

**რუს-012** ღოცვა რუსულ პოზიციებზე. ფოტო გადაღებულია I მსოფლიო ომის დროს კავკასიის ფრონტზე. თარიღი 1915წ. ზომა 6X4,5. 1ფ.

**რუს-013** ოსმალების ზარბაზნების პოზიციების დათვალიერება. შავი-კლდის მიდამოები. თანამედროვე თურქეთი, ქალაქი ვანი. ფოტო სავარაუდოდ გადაღებულია ვანის ბრძოლის დროს. (აპრილი ნოემბერი. 1915წ.) თარიღი 15/12. 1915წ. ზომა 6X4,5. 1ფ.

**რუს-014** გუმბიდი. რუსული პოზიციები. ფოტო გადაღებულია 1914-1918 წლების I მსოფლიო ომის დროს კავკასიის ფრონტზე. სავარაუდოდ ერზერუმის ოპერაციის დროს. (28.12. 1915-12.03.1916). თარიღი 1915-1916. ზომა 6X4,5სმ. 1ფ.

**რუს-015** ს. არდამეთში, ქალაქ ვანის მიმდებარე ტერიტორია, (თანამედროვე თურქეთი). პოლკოვნიკი ნალგეივი ათვალიერებს ოსმალების პოზიციებს. ფოტო გადაღებულია I მსოფლიო ომის დროს ვანის ბრძოლის პერიოდში. თარიღი 29.11. 1915წ. ზომა 6X4,5სმ. 1ფ.

**რუს-016** ქ. სარაიას ქუჩაში მოკლული სომეხი. I მსოფლიო ომი, კავკასიის ფრონტი. ვანის ბრძოლის მსხვერპლი. თარიღი 1915წ. ზომა 6X4,5სმ 1ფ.

**რუს-017** ს. არდამეთი. ქალაქ ვანის მიმდებარე ტერიტორია, (თანამედროვე თურქეთი). რუსულ პოზიციების გამაგრება ეკლიანი მავთულებით. ინჟინერი კაპიტანი სახაროვი. ფოტო გადაღებულია I მსოფლიო ომის დროს ვანის ბრძოლის პერიოდში. თარიღი 25. 09. 1915წ. ზომა 6X4,5სმ. 1ფ.

**რუს-018** რუსული პოზიციები I მსოფლიო ომი, კავკასიის ფრონტზე. თარიღი 1915-1916. ზომა 9X6სმ. 1ფ

**რუს-019** რუსული პოზიციები I მსოფლიო ომი, კავკასიის ფრონტზე. თარიღი 1915-1916. ზომა 9X6სმ. 1ფ

**რუს-020** ჩანჩქერი. ფოტო გადაღებულია I მსოფლიო ომის დროს კავკასიის ფრონტზე. სავარაუდოდ, ან ვანის, ან ერზერუმის მიმდებარე ტერიტორია. თარიღი 1915-1918წ. ზომა 9X6სმ. 1ფ.

**რუს-021** მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის, თავად დიმიტრი კონსტანტინეს ძის, მეგრელთა 16 გრანადელთა პოლკის პრაპორშიკი კასრაძე. პოლკი 1834 წლის 21 მარტს ჩამოყალიბდა ქართველ გრენადერთა, აპშერის ფეხოსანთა ბატალიონის, 1, 3, 2 და 42 ეგერთა პოლკებისაგან, როგორც მეგრელთა ეგერის პოლკი. 1856 წლის 9 აპრილს გადაკეთდა მეგრელ გრენადერთა პოლკად. 1856 წლის 17 აპრილს მეგრელ ქვეითთა პოლკად. 1860წლის 1 ივნისს მეგრელთა 16 გრენადერთა პოლკად. მონაწილეობდა I მსოფლიო ომში. პოლკში მსახურობთა ბორის შაპოშნიკოვი. სსსრკს მარშალი. თარიღი 1915-1918წ. ზომა 9X6სმ. 1ფ.

**რუს-022** ქალაქ ვანის ციხე. (თანამედროვე თურქეთი). ამჟამად განადგურებულია მეჩეთი და მინარეთის კონუსი. ფოტო, სავარაუდოდ, გადაღებულია ვანის ბრძოლის დროს (აპრილი- ივნისი 1915წ.) თარიღი 1915წ. ზომა 6X4,5. 1ფ

**რუს-023** ზარბაზნების სროლა შავ კლდეთან ვანის ტბის (თანამედროვე თურქეთი) სამხრეთ ნაპირზე. I მსოფლიო ომი (1914-1918) კავკასიის ფრონტი. თარიღი 1915წ. 15.12. ზომა 6X4,5. 1ფ

**რუს-024** რუსი და ქართველი ოფიცრები სპარსეთში, ქალაქ ხოპში. ფოტო გადაღებულია კავკასიის ფრონტზე სპარსეთის მონაკვეთზე, როდესაც 1915 წელს რუსული არმია შეიჭრა სპარსეთის აზერბაიჯანში. უკანა მხარეს დეტალურად ჩამოთვლილია გამოსახულთა პირთა ვინაობა. თარიღი 03.04. 1915წ. ზომა 10X12. 1ფ.

**რუს-025** პირველი კავკასიური არმიის ნაწილი ქალაქ ვანის (თანამედროვე თურქეთი) ციხესთან. ფოტო გადაღებულია, სავარაუდოდ, ვანის ბრძოლის დროს. (აპრილი ივნისი1915). თარიღი 1915წ. ზომა 6X4,5სმ. 1ფ.

**რუს-026** ჰოშაბის ციხე. თანამედროვე თურქეთი. (სახ. Hosap Kalesi) ამჟამად ოფიციალური სახელწოდება Guzelsu. ქართული სახელწოდება “მშვენიერი წყალი”. ციხე აშენებულია 1643 წელს ქურთი ერისთავის მაჰმუდ

სულეიმანის მიერ. ფოტო გადაღებულია I მსოფლიო ომის დროს კავკასიის ფრონტზე. თარიღი 1915წ. ზომა 10X12სმ. 1ფ.

**რუს-027** ჰოშაბის ციხე. თანამედროვე თურქეთი. (სახ. Hosap Kalesi) ოფიციალური სახელწოდება Guzelsu. (გუზელსუ) ციხე აშენებულია 1643 წელს ქურთი ერისთავის მაჰმუდ სულეიმანის მიერ. ფოტო გადაღებულია I მსოფლიო ომის დროს კავკასიის ფრონტზე. თარიღი 1915წ. ზომა 10X12სმ. 1ფ.

**რუს-028** სოფელი ისტიჩამრი (თანამედროვე აზერბაიჯანი). ფოტო გადაღებულია სავარაუდოდ, კავკასიის ფრონტზე სპარსეთის მონაკვეთზე, როდესაც 1915 წელს რუსული არმია შეიჭრა სპარსეთის აზერბაიჯანში. თარიღი 1915წ. ზომა 6X4,5სმ. 1ფ.

**რუს-029** ღტოლვილი აისორები და სომხები. აღნიშნული პროცესი დაიწყო 1915 წელს, როცა რუსული არმია პირველი მსოფლიო ომის დროს შეიჭრა ოსმალეთის იმპერიისა და სპარსეთის ტერიტორიაზე. თარიღი 1914-1918წ. ზომა 6X4,5სმ 1ფ

**რუს-030** 20 აპრილი. რუსების სამადლობელი პარაკლისი, ოსმალების დამარცხების გამო. ფოტო გადაღებულია 1914-1918 წლების I მსოფლიო ომის დროს კავკასიის ფრონტზე. სავარაუდოდ ერზერუმის ოპერაციის დროს. (28.12. 1915-12.03.1916). თარიღი 1915-1916. ზომა 6X4,5სმ. 1ფ.

**რუს-031** რუსი ოფიცრობა გზად ვანისაკენ. შესვენების დროს. (თანამედროვე თურქეთი). ფოტო გადაღებულია, სავარაუდოდ, ვანის ბრძოლის დროს. (აპრილი ივნისი 1915). თარიღი 1915წ. ზომა 6X9სმ. 1ფ.

**რუს-032** მოწყალეების და. ფოტო გადაღებულია 1914-1918 წლების I მსოფლიო ომის დროს კავკასიის ფრონტზე. სავარაუდოდ ერზერუმის ოპერაციის დროს. (28.12. 1915-12.03.1916). თარიღი 1915-1916. ზომა 6X4,5სმ. 1ფ.

**რუს-033** ჰოშაბის ციხე. თანამედროვე თურქეთი. (სახ. Hosap Kalesi) ოფიციალური სახელწოდება Guzelsu. (გუზელსუ) ციხე აშენებულია 1643 წელს ქურთი ერისთავის მაჰმუდ სულეიმანის მიერ. ფოტო გადაღებულია I მსოფლიო ომის დროს კავკასიის ფრონტზე. თარიღი 1915წ. ზომა 10X12სმ. 1ფ.

**რუს-034** ფოტო სახელწოდებით “თვალები”. ვანიდან გამოქცეული სომხები. აღნიშნული ფაქტი მოხდა I მსოფლიო ომის დროს, როცა რუსული არმია შეიჭრა ოსმალეთის იმპერიაში, რასაც მოჰყვა ვანის სომხური მოსახლეობის აჯანყება და დამარცხება. თარიღი 1915წ. ზომა 10X12სმ. 1ფ.

**რუს-035** ხის რუსული ეკლესია, სადაც, სავარაუდოდ, მსახურობდა მღვდელი დიმიტრი ვარდიაშვილი. ტაძარი აშენებული უნდა ყოფილიყო 1914-1916 წლებში, სავარაუდოდ, რუსულ-თურქეთის ფრონტზე. ზომა 4X5 სმ. 1ფ.

**რუს-036** აჭარელი მეჭიბონე ედჰემ კონახელა სურმანიძე და მოხეტიალე მუსიკოსი ი. ქურხული. ხულო 1948წ. ზომა 9X12სმ. 1ფ.

**რუს-037** ჯგუფური ფოტო. მიიღო მღვდელმა დიმიტრი ვარდიაშვილმა რუსეთ-თურქეთის ომის დროს 1916წლის 09.06. სოფელ ტრიპკაში. ზომა 6X9სმ. 1ფ.

**რუს-038** რუსეთ-თურქეთის ომის მონაწილენი (1914-1916წწ.) ტიშჩენკო, სმირნოვა, რუდკო. მღვდელ დიმიტრი ვარდიაშვილთან დაახლოვებული პირები. ზომა 6X9სმ. 1ფ.

**რუს-039** უცნობი სასულიერო პირი, სავარაუდოდ, რუსეთ-თურქეთის 1914-1916წწ. მონაწილე. ზომა 9X12სმ. 1ფ.

**რუს-040** აჭარელი მეჭიბონე ედემ კოჩახელა სურმანიძე. სოფელ კვატიადან. (ყინჩაურის სასოფლო საბჭო). გადაღებულია ი. ქურხულის მიერ ხულოში 1948წ. ზაფხულში. ზომა 9X12სმ. 1ფ.

**რუს-041** მღვდელი დიმიტრი ვარდიაშვილი რუსეთ-თურქეთის ომის სახვადასხვა ფრონტზე. ფოტოები გადაღებულია 1914-1916წლების შორის. მღვდელი დიმიტრი ვარდიაშვილი ძირითადად მსახურობდა ერზერუმის და ვანის რაიონების მიდამოებში. სხვადასხვა ზომის ფოტოები. 16 ფ.

**რუს-042** ჭიბონზე დამკვრელი სურმანიძე ედემ “ქოჩახელა”. 1951-1952წ.წ. ხულოს რაიონი. ზომა 12,7X17,7. 1ფ.

**რუს-043** ცეკვა “განდაგანა”, სესრულებილი მაკარაძე მურმან ღურსუნის ძე. ბათუმის რაიონი, სოფელი ურეხი. 1951-1952წ.წ. ზომა 12X17,3. 1ფ.

**რუს-044** ჭიბონების გამკეთებელი და დამკვრელი ირემაძე ოსმანი. ქედის რაიონი. სოფ. ცხომრისი. 1951-1952წ.წ. ზომა 12X17,3სმ. 1ფ.

**რუს-045** ჭიბონაზე დამკვრელი სურმანიძე ედემ “ქოჩახელა”. ხულოს რაიონი. ზომა 9X13,8. 1ფ.

**რუს-046** ძველი ერევანი. ფოტო გადაღებულია 1914-1916წლების შორის, როცა რუსეთი შეიჭრა ოსმალეთის იმპერიის საზღვრებში. ზომა 23X17 სმ. 1ფ.

**რუს-047** ოსმალეთის იმპერიის წარჩინებული ჯგუფი, მარცხნიდან პირველი საიდ ჰალიმ ფაშა ( 18.01. 1865-06.12. 1921) ოსმალეთის დიდი ვეზირი 1913-1916 წლებში.

**რუს-048** ქართველი ჯარისკაცი. სავარაუდოდ რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის მონაწილის აღკაზმულობა. ზომა 17,5X23,5სმ. 1ფ.

**რუს-049** ტყვეთა სყიდვა. ფოტო რეპროდუქცია. ზომა 24X19სმ. 2ფ.